

საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

(2015 წლის I კვარტალი)



სარჩევი

1. შესავალი -----	2
2. საბანკო სექტორი -----	3
3. ტურიზმი -----	7
4. საგარეო ვაჭრობა -----	10
5. ეკონომიკური ზრდა -----	12
6. სამომხმარებლო ფასების დონე -----	14
7. ფულადი გზავნილები -----	15
8. ლარის კურსი -----	16
9. ძირითადი მიგნებები -----	19

შესავალი


გამოცემა მიზნად ისახავს 2015 წლის პირველ კვარტალში ქვეყნის ეკონომიკაში განვითარებული ძირითადი ტენდენციების, საგარეო ფაქტორების და საქართველოს ეკონომიკაზე მათი გავლენის შეფასებას, ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში არსებული სტატისტიკური სურათის დახატვას და გაანალიზებას.

გამოცემაში განხილულია საბანკო სფეროში, სავალუტო ბაზარზე, ტურისტულ სფეროში მიმდინარე მოვლენები, ასევე ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები.

1. საბანკო სექტორი

სავალუტო პრობლემების ფონზე წარმატებით ფუნქციონირებს საბანკო სექტორი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 30%-ით არის გაზრდილი სექტორის მიერ მოზიდული დეპოზიტები და 13.5 მილიარდ ლარს გადააჭარბა.

37%-იანი ზრდა ფიქსირდება სესხების კუთხით. 2015 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკაზე გაცემული სესხების მოცულობამ 14.7 მილიარდი ლარი შეადგინა.



წყარო: ეროვნული ბანკი

თუმცა, აღსანიშნავია, რომ როგორც დეპოზიტების, ისე სესხების მიმართულებით, ზრდის მაღალი ტემპი ეროვნული ვალუტის დევალვაციამ გამოიწვია. მოგეხსენებათ, სესხების და დეპოზიტების დოლარიზაციის დონე 60%-ს აჭარბებს, შედეგად ლარში გამოსახული მათი მოცულობები საგრძნობლად გაიზარდა.

2015 წლის იანვარ-მარტში ბანკების წმინდა მოგებამ 101 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გასული წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელს 7 მილიონი ლარით, ანუ 7%-ით აღემატება.

საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

თვალშისაცემია კომერციული ბანკების შემოსავლების დინამიკა, ამ შემთხვევაშიც დეველვაციას მნიშვნელოვანი წილი უჭირავს. ვინაიდან სესხების 60%-ზე მეტი უცხოურ ვალუტაშია (ძირითადად დოლარში), ლარში გამოსახული საპროცენტო შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით, ბანკების ჯამური შემოსავლები 62%-ით გაიზარდა და მილიარდ ლარს მიაღწია. საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლებს შორის თანაფარდობა თითქმის 50/50-ზეა. აღსანიშნავია, რომ პროცენტული შემოსავლები 22%-ით გაიზარდა, ხოლო არაპროცენტული შემოსავლები კი 146%-ით და 480 მილიონ ლარს გადააჭარბა. არაპროცენტული შემოსავლები დეტალურად არ არის გაშლილი და მისი 85% კლასიფიცირებულია, როგორც „სხვა არაპროცენტული შემოსავლები“. არაპროცენტული შემოსავლების მსგავსი ზრდის შედეგად, მისი წილი მთლიან შემოსავლებში 50%-მდე გაიზარდა, მაშინ, როდესაც 35-40%-ის ფარგლებში მერყეობდა.

	შემოსავლები სულ	პროცენტული შემოსავლები	სესხებიდან	არაპროცენტული შემოსავლები
იან-მარ,14	608,811	411,137	378,960	197,675
იან-მარ,15	987,517	501,508	455,007	486,009
ცვლილება (%)	62	22	20	146

წყარო: ეროვნული ბანკი

რაც შეეხება ხარჯებს, 2015 წლის პირველ კვარტალში ბანკების ხარჯები 77%-ით გაიზარდა და 877 მილიონი ლარი შეადგინა. აქედან, პროცენტული ხარჯი გაზრდილია 17%-ით, ხოლო არაპროცენტული ხარჯი 90%-ით. 160%-ით არის გაზრდილი „სხვა არაპროცენტული ხარჯები, რომელმაც 381 მილიონი ლარი შეადგინა.

	ხარჯები სულ	პროცენტული ხარჯები	დეპოზიტებზე	არაპროცენტული ხარჯები
იან-მარ,14	497,155	180,335	115,900	274,929
იან-მარ,15	877,947	210,800	129,936	521,163
ცვლილება (%)	77	17	12	90


წყარო: ეროვნული ბანკი

საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

3,5-ჯერ არის გაზრდილი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით. თუ გასული წლის პირველ კვარტალში ეს მაჩვენებელი 32 მილიონ ლარს ოდნავ აღემატებოდა, წელს იგივე პერიოდში 130 მილიონ ლარს გადააჭარბა.

მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც ბანკების საქმიანობის ფინანსურ პარამეტრებში იკითხება, არის ის, რომ ბანკების პროცენტული შემოსავლები გაიზარდა უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე პროცენტული ხარჯები. 2015 წლის პირველ კვარტალში სესხებიდან ბანკებმა 455 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღეს, ხოლო დეპოზიტების მომსახურებაზე 129 მილიონი, ანუ 3.5-ჯერ ნაკლები დახარჯეს.

ეს ციფრები ნათლად ასახავს განსხვავებას სესხის და დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთებს შორის დიდ განსხვავებას, სპრედს. საშუალო საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტზე 5,9% შეადგენს, სესხზე კი 15,1%-ს, ანუ სპრედი შეადგენს 9,2%-ს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, განვითარებულ ქვეყნებში სპრედი 3%-ს არ სცდება, განვითარებადში კი 5%-ს.




წყარო: მსოფლიო ბანკი

სესხის საპროცენტო განაკვეთი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება, ყველაზე დიდი წილი იმ პროცენტში, რომელსაც ჩვენ საშუალოდ წლიურად ვიხდით, უჭირავს მოზიდულ სახსრებს (სესხის საპროცენტო განაკვეთის დაახლოებით მესამედი), დაახლოებით იმდენივე ხელფასის, ადმინისტრირების და მარკეტინგის ხარჯს, და კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წონადი კომპონენტია რისკი. მაგრამ, საბანკო სექტორის პორტფელს თუ გადავხედავთ, იგი საკმაოდ ჯანსაღია, ანუ მსესხებლის მიერ რისკისთვის დამატებით გადახდილი სარგებელი, უმეტესწილად ბანკებს მოგებად რჩება.

საპროცენტო განაკვეთში რისკის კომპონენტის შეფასება რისკის პრემიის მაჩვენებლის მიხედვით ხდება. რისკის პრემიას საბანკო სესხზე საპროცენტო განაკვეთსა და სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე არსებულ განაკვეთს შორის სხვაობით ითვლიან.

საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა




საქართველოს სახელმწიფო ფასიან ქალაქებზე ვადიანობის მიხედვით საპროცენტო განაკვეთები 6-დან 10%-მდე მერყეობს. თუმცა, ფასიანი ქალაქების დიდი ნაწილი 6-7%-ად არის გაცემული. შესაბამისად, ბანკები კერძო სექტორზე საშუალოდ 15%-ად გასცემენ სესხებს, ხოლო ე.წ. ურისკო სახელმწიფო ფასიან ქალაქებში 6-7%-ად აბანდებენ საკრედიტო რესურსს. ანუ რისკის პრემია გამოდის 8-9%, რაც ასევე ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში.

2. ტურიზმი

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკაში სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. იგი ერთ-ერთი დარგია, რომელიც საკმაოდ დიდი სავალუტო ნაკადებით უზრუნველყოფს ქვეყანას.

2015 წლის იანვარ-აპრილში შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით საქართველოში 1 381 000 ვიზიტორი შემოვიდა, რაც გასული წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელს 2%-ით ჩამოუვარდება.

ვიზიტორების 35% ტურისტებზე მოდის, მთიანი სტრუქტურა კი შემდეგნაირად გამოიყურება:



წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ტურისტული ნაკადების შემცირება გასული წლის ბოლოდან დაიწყო. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეებში კლების ტემპი მცირდება. კერძოდ, იანვარში ვიზიტორების 3%-იანი კლება დაფიქსირდა, თებერვალში - მინუს 2%, ასევე მარტშიც -2%, ხოლო აპრილში ვიზიტორების რაოდენობა არ შემცირებულა, მაგრამ არც გაზრდილა.

ტურისტული ნაკადების კლების რამდენიმე ვერსია არსებობს. ყველაზე ხშირად სავიზო რეგულაციების გამკაცრებაზე მიდის საუბარი. მაგრამ, ანალიზი და

საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფს, რომ აღნიშნული ფაქტორის გავენა არის მინიმალური.

ტურისმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული ვიზიტების 96% (1 332 188) მოდის 15 ქვეყანასთან. აღნიშნული 15 ქვეყნიდან 14-თან საქართველოს უვიზო რეჟიმი გააჩნია, ანუ მათ მოქალაქეებს საქართველოში შემოსვლის კუთხით შეფერხება არ შექმნიათ.

	ქვეყანა	სავიზო რეჟიმი	2014: 4 თვე	2015: 4 თვე	ცვლილება	ცვლილება %
1	აზერბაიჯანი	უვიზო	350,254	373,350	23,096	7%
2	თურქეთი	უვიზო	395,463	365,244	-30,219	-8%
3	სომხეთი	უვიზო	324,005	325,517	1,512	0%
4	რუსეთი	უვიზო	187,847	181,587	-6,260	-3%
5	უკრაინა	უვიზო	38,184	32,897	-5,287	-14%
6	გერმანია	უვიზო	6,096	8,676	2,580	42%
7	ა.შ.შ.	უვიზო	6,503	6,958	455	7%
8	ყაზახეთი	უვიზო	5,285	6,803	1,518	29%
9	პოლონეთი	უვიზო	7,558	6,254	-1,304	-17%
10	ისრაელი	უვიზო	5,123	5,389	266	5%
11	ირანი	სავიზო	15,030	4,184	-10,846	-72%
12	გაერთ. სამეფო	უვიზო	3,595	4,090	495	14%
13	ბელარუსი	უვიზო	2,896	3,973	1,077	37%
14	საბერძნეთი	უვიზო	4,686	3,934	-752	-16%
15	ლიტვა	უვიზო	1,996	3,332	1,336	67%

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

როგორც ცხრილიდან ჩანს, სავიზო რეგულაციების გამკაცრებამ მხოლოდ ირანიდან განხორციელებულ ვიზიტების რაოდენობაზე იმოქმედა. ყველა დანარჩენი ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში უვიზოდ შემოსვლის შესაძლებლობა აქვთ, შესაბამისად, ამ მიმართულებებიდან ვიზიტების რაოდენობის შემცირების სხვა მიზეზებზე უნდა ვისაუბროთ.

რაოდენობრივად ყველაზე დიდი შემცირება თურქეთზე, რუსეთზე და უკრაინაზე მოდის, საიდანაც ჯამში 2015 წლის პირველ 4 თვეში 41 766-ით ნაკლები ვიზიტი განხორციელდა.

ამ სამივე ქვეყანას საერთო (სხვადასხვა დოზით) აქვთ ის, რომ სამივეგან სავალუტო პრობლემებია, უკრაინაში და რუსეთში ეკონომიკური ვარდნაა, თურქეთში ეკონომიკური ზრდა 0-თან ახლოსაა, გარდა ამისა, რუსეთ-უკრაინას შორის სამხედრო

საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

დაპირისპირების ფაქტორი, საბოლოო ჯამში ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს ტურისტულ ვიზიტებზე.


რაც შეეხება ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს, ეს მონაცემი I კვარტლის საგადასახდლო ბალანსის გამოქვეყნების შემდეგ, 30 ივნისს გახდება ცნობილი.

3. საგარეო ვაჭრობა

2015 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2,27 მლრდ. დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 10 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 503 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (28 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 1,77 მლრდ. დოლარს (3 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2015 წლის იანვარ-მარტში 1,27 მლრდ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 56 პროცენტი შეადგინა.

ექსპორტის კლება გასული წლის ზაფხულის ბოლოდან შეინიშნება. თუმცა, გასულ წელს და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დაფიქსირებული ექსპორტის კლება იმით განსხვავდება, რომ გასულ წელს ექსპორტის კლება დაფიქსირდა რეექსპორტის¹ კლების გამო, წელს კი ამ ფაქტორს დაემატა მძიმე ეკონომიკური ვითარება დსთ-ს ბაზრებზე, რომელსაც საქართველოს საექსპორტო ბაზრის საკმაოდ დიდი ნაწილი უჭირავს.

დსთ-ს ბაზრებზე ჩავარდნა და ევროკავშირთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხემკერულება მნიშვნელოვნად აისახა სავაჭრო ტენდენციებზე. კერძოდ, ექსპორტი 2015 წლის პირველ კვარტალში გაზრდილია ევროკავშირსი, დსთ-ს ქვეყნებში კი მნიშვნელოვანი კლებაა. თუ გასული წლის პირველ კვარტალში ევროკავშირში საქართველოს ექსპორტი შეადგენდა 140 მილიონ დოლარს, წელს ეს მაჩვენებელი 170 მილიონი დოლარია, ანუ 21%-ით მეტი. რაც შეეხება დსთ-ს ქვეყნებს, ამ მიმართულებით საქართველოს ექსპორტი 55%-ით შემცირდა და შარშანდელი 318 მილიონი დოლარის ნაცვლად 175 მილიონი დოლარი შეადგინა.



წყარო: „საქსტატი“

¹ აზერბაიჯანში ავტომობილების შეყვანაზე დაწესებული შეზღუდვების (ევრო 5 სტანდარტის შემოღება) მნიშვნელოვნად შემცირდა ავტომობილების რეექსპორტი საქართველოდან აზერბაიჯანში

საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

აღნიშნული ტრენდების გამო, ექსპორტის კალათაში ევროკავშირის წილმა 17%-დან 34%-მდე მოიმატა, ანუ გაორმაგდა, ხოლო დსთ-ს წილი კი 52%-დან 35%-მდე შემცირდა.

რაც შეეხება სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტის დინამიკას, იგი შემდეგნაირად გამოიყურება:

სასაქონლო ჯგუფი	2014 I კვარტ. მლნ. \$	2014 I კვარტ. მლნ. \$	ცვლილება (%)
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	51	61	20
მსუბუქი ავტომობილები	152	57	-63
თხილი და სხვა კაკალი	21	52	148
ფეროშენადნობები	70	48	-31
სამკურნალო საშუალებები	14	25	78
აზოტოვანი სასუქები	45	24	-47
მინერალური წყლები	34	22	-34
ყურძნის ნატურალური ღვინოები	47	15	-68
ნედლი ნავთობი	7	13	85
ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული	8	13	63

წყარო: „საქსტატი“


როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე ადგილობრივი წარმოების პროდუქციისგან შემდგირებულია ფეროშენადნობების, აზოტოვანი სასუქების, მინერალური წყლების და ღვინის ექსპორტი.

4. ეკონომიკური ზრდა

2015 წლის პირველ კვარტალში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ტემპმა 3,2% შეადგინა. ჯერ კიდევ მოქმედი, მთავრობის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5%-ს შეადგენს.

ზრდის იგივე ტემპს პროგნოზირებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდიც. თუმცა, განვითარებული შოკების გამო პროგნოზი გადაიხედა და მნიშვნელოვნად, 2%-მდე შემცირდა. სავალუტო ფონდის ანგარიშის მიხედვით, რუსეთის კრიზისის ნეგატიური გავლენა ყველაზე მეტად სომხეთზე, ბელორუსსა და საქართველოზე იქნება. რის შედეგადაც, სომხეთსა და ბელორუსში ეკონომიკურ ვარდნას ელოდებიან, ხოლო საქართველოში ზრდის ტემპი შენელდება. თუმცა, იქნება ზრდა.

რეგიონში საკმაოდ არასახარბიელო ვითარებაა. დსთ-ს ქვეყნებს თუ გადავხედავთ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველგან ეკონომიკური პრობლემებია. სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2015 წელს 5,5 პროცენტით შემცირდება უკრაინის ეკონომიკა, 3,8 პროცენტით რუსეთის და 2,3 პროცენტით ბელორუსის ეკონომიკა, თითო თითო პროცენტით შემცირდება სომხეთის და მოლდოვას ეკონომიკები. ზრდის მაღალი ტემპების პროგნოზი კეთდება თურქმენეთისთვის და უზბეკეთისთვის, სადაც ეკონომიკები შესაბამისად 9 და 6,2 პროცენტით გაიზრდება. თურქეთში 3 პროცენტიანი ზრდა იქნება, საქართველოში, როგორც აღვნიშნე 2. იგივე ტემპით გაიზრდება ყაზახეთის ეკონომიკაც, ყირგიზეთში 1,7 პროცენტიანი ზრდა იქნება, აზერბაიჯანში კი 0,6 პროცენტი.



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი


საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

როგორც ვხედავთ, საქართველოს ყველა ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა ან უარყოფითია, ან ნულთან ახლოსაა. ეს გარემოება ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს საქართველოს ეკონომიკაზე.


5. სამომხმარებლო ფასების დონე

პირველი კვარტალის ბოლო ინფლაციის დონემ 2,6% შეადგინა. საერთო ჯამში, სამ თვეში ფასების დონემ 1,5%-ით იმატა.

აპრილის თვეში კი წინა თვესთან შედარებით ინფლაციამ 0,3%-ით შეადგინა, ანუ 2015 წლის პირველ 4 თვეში ფასების დონე 1,8%-ით გაიზარდა. 2014 წლის აპრილთან შედარებით ინფლაციის დონე 2,5%-ით განისაზღვრა.



წყარო: „საესტატი“




წყარო: „საესტატი“

საქართველოს ეროვნული ბანკი წლის ბოლომდე ინფლაციის მაჩვენებლის 5%-მდე გაზრდას პროგნოზირებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდი კი პროგნოზს 3%-ის დონეზე აკეთებს.

6. ფულადი გზავნილები

2015 წლის პირველ კვარტალში ფულადი გზავნილების წმინდა შემოდინებამ² 207 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 27%-ით ნაკლებია 2014 წლის პირველი კვარტლის მაჩვენებელზე (285 მლნ.).




წყარო: ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების სახით ყოველწლიურად დიდი მოცულობის უცხოური ვალუტა შემოდინება ქვეყანაში, რაც ადგილობრივი ვალუტის სიმყარის მნიშვნელოვანი გარანტიაა. გასული წლის ბოლოდან ამ მაჩვენებელმა კლება დაიწყო, დიდწილად რუსეთის ხარჯზე, სადაც ვალუტის დევალვაციის გამო მნიშვნელოვანი პრობლემა შეიქმნა გადმორიცხვების კუთხით.

² ჩარიცხვებს მინუს გადარიცხვები

7. ლარის კურსი

ლარის დევალვაციის პროცესი 2014 წლის ნოემბრიდან დაიწყო და მიმდინარე წელსაც გრძელდება.



წყარო: ეროვნული ბანკი

გასული წლის ბოლო კვარტალში ექსპორტის და ფულადი გზავნილების კლების, იმპორტის ზრდის შედეგად მნიშვნელოვნად გაუარესდა საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, ამ ყველაფერმა იმ ფონზე, როდესაც ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის ზრდა გასულ წლებთან შედარებით გაცილებით ნელი ტემპით მიმდინარეობს, ლარი დევალვაციის რეჟიმში გადაიყვანა. ამას დაემატა დოლარის ინდექსის მნიშვნელოვანი ზრდა და მისი გამყარება მსოფლიოს ყველა ძირითადი ვალუტის მიმართ.


რაც შეეხება მიმდინარე წლის პირველ კვარტალს, იმ ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედება, რომლებმაც ლარის კურსზე მოახდინეს და ახდენენ გავლენას, მნიშვნელოვნად შერბილებულია. კერძოდ:

- 1) არ არის გაზრდილი ფულის მასა;
- 2) იმპორტის კლების ტემპი ზრდადია, ანუ მცირდება უცხოური ვალუტის გადინების ტემპი;
- 3) არ ღრმავდება ექსპორტის კლება;
- 4) რუსული რუბლის ბოლოდროინდელი სტაბილიზაციის შედეგად გარკვეული გაუმჯობესებაა გზავნილების კუთხით;
- 5) არ ფიქსირდება საბიუჯეტო ზეწოლა ლარზე;


საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

6) მიმდინარე ეტაპზე დოლარის ინდექსი აღარ იზრდება, მცირედით შემცირდა კიდევ;

რაც შეეხება ლარის ნომინალურ ეფექტურ³ და რეალურ ეფექტურ⁴ გაცვლით კურსებს, რომლებიც გარდა დოლარისა, საქართველოს კიდევ 13 ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტებს მოიცავს, ამ მიმართულებით შემდეგი ცვლილებები დაფიქსირდა:



წყარო: ეროვნული ბანკი



წყარო: ეროვნული ბანკი

³ ძირითადი სავაჭრო პარტნიორების მიმართ (ევროზონა, თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, სომხეთი, აშშ, ბულგარეთი, იაპონია) ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის ინდექსების შეწონილ საშუალო გეომეტრიული

⁴ ასახავს ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებას საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების მიმართ, სამომხმარებლო ფასების ინდექსებს შორის თანაფარდობის ცვლილების გათვალისწინებით. გაანგარიშებაში ჩართულია შემდეგი სავაჭრო პარტნიორები: ევროზონა, თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, სომხეთი, აშშ, ბულგარეთი, იაპონია.

საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

მიმდინარე წელს, იანვრიდან აპრილის ჩათვლით ლარის ნომინალური ეფექტური კურსი გაუფასურდა 4,7%-ით. რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი იანვარ-მარტის პერიოდში 3,2%-ით გაუფასურდა.

8. ძირითადი მიგნებები

- ლარის დევალვაციის ფონზე წარმატებით ფუნქციონირებს საბანკო სექტორი, მისი საქმიანობის მაჩვენებლები შთამბეჭდავია დევალვაციის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე;
- სესხის საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად აღემატება დეპოზიტის დაპროცენტო განაკვეთებს, რაც რისკის პრემიის მაღალი მაჩვენებლით შეიძლება აიხსნას;
- საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეების ვიზიტების კლების ტემპი შეჩერებულია;
- საქართველოში ვიზიტები არსებითად არ შეუზღუდავს სავიზო რეგულაციების გამკაცრებას. ვიზიტების შემცირების მთავარ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ რეგიონის ქვეყნებში არსებული მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება (რუსეთში და უკრაინაში);
- სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, განსაკუთრებით დსთ-ს ქვეყნებში, დაძაბული ეკონომიკური ვითარება ნეგატიურად აისახა ქართულ ექსპორტზე;
- დსთ-ს ბაზრებზე შექმნილმა პრობლემებმა და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმმა, საქართველოს საექსპორტო ბაზრის სტრუქტურა ევროკავშირის სასარგებლოდ და დსთ-ს სივრცის საზიანოდ შეცვალა;
- საქართველოს მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპების მნიშვნელოვანი შენელებაა, შედეგად ზრდის პროგნოზები შემცირებულია როგორც ამ ქვეყნებში, ისევე საქართველოში;
- ლარის დევალვაციის მიუხედავად, ფასების დონის ზრდის ტემპი კვლავ დაბალია და მიზნობრივ დონეს 2-ჯერ ჩამოუვარდება;
- მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ლარის კურსზე ნეგატიურად მოქმედი ფაქტორების გავლენა მნიშვნელოვნად შემცირდა;
- ლარის მნიშვნელოვანი დევალვაციის მიუხედავად, მისი ეფექტური კურსი უმნიშვნელოდ შემცირდა, რაც აიხსნება იმით, რომ საქართველოს მსგავსი პროცესები განვითარდა ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, რის შედეგადაც ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები მნიშვნელოვნად არ დაეცა.



„აბალგაზრდა ფინანსისტა და ბიზნესმენტა ასოციაცია - აფბა“
ვაჟა-ფშაველას გამზ. N32. 1-ლი სართული. თბილისი. საქართველო.

ტელ: 790 35 22 21; 568 00 99 22

e-mail: afba_ge@yahoo.com finansistebi@gmail.com

www.afba.ge